

572
965

1965
03630000



1 9 6 5 0 3 6 3 0 6 0

572
70.



№ 1



სუფთა წერა

პარლო კობახიძე

ხანატი რ. მახარაძისა

საუხმის შემდეგ მამამ მითხრა: მოდი, მე და შენ ბასარში წავიდეთ, სილი ვიყიდეთ. გამისარდა. მაშინვე ველიანი ფეხსაცმელები მოკეპუნე, ზალტო ჩაუციფი და ეზოში ჩამოყვდი.

კვირა დღე იყო. კვირას არც სხვა მიდის სკოლაში, არც მე. კვირას მამაც სახლშია, დედაც, ჩემი უფროსი ძმაც, ბებო კი სულ შინაა.

მამა გაჩერდა ეზოში, ზალტოს საყვლა აიწია და ცანს აჭხედა, მეც ცანს აუხედე:

— ძალიან მომენატრა თოვლი, გუნდაობა მომენატრა,— ვთქვი მე.

— სედავ? — მითხრა მამამ, — მოღრუბლულია, შეიძლება მოთოვოს, მაგრამ რაკი ქარი ამოვარდა, საგუნდაო თოვლს მანც არ დადებს.

— ცუდია ქარი, — ვთქვი მე, — ქარის ბრალია, თოვლი რომ არ მოდის.

— არაფერი, — გაიღიმა მამამ, — ჩადგება ქარი. მერე თოვლიც მოვა, ასე უთოვლოდ არ გაივლის ზამთარი...

ეზოდან რომ გამოვდიოდით, გიკა და ვინახეთ, — ჩვენსკენ მორბოდა, ძალიან ჭეჭვიანი ზალტო ეცვა. მოკვესალმა, გამაჩჯობათა და გაიქცა.

მამამ თვალთ გააუღლა და თქვა:

— სუფთა წერაში კი სუთიანი ბქეს, არა?

— ჰო, სუფთა წერაში სუთიანი ბქეს... ჩემთან სწავლობს გიკა.



50

— ვიცო, შენთან სწავლობს... ასე როგორ შეიძლება; კაცს სუფთა წერაში სუთიანი ჭქონდეს და ჭუჭუიანი ზალტო ეცვას?!

— შე სუფთა წერაში ოთხიანი მაქვს, მაგრამ სუფთა ზალტო მაცვია.

— არც ასე ვარკა, — წუნარად თქვა მამამ, — კარგი მამინ იქნება, სუფთა წერაშიც სუთიანი კქონდეს და სუფთადაც გეცვას.

ბაზარში ბლომად ვიყიდეთ ვაშლი, მსხალი, კიდევ ნუში, კიდევ კაკალი... თხილი არ გვიყვია. წინა კვირას ვიყიდეთ ბევრი თხილი...

ბაზრიდან რომ ვბრუნდებოდით, გიგა და მისი მამა — მია ნიკა დავინახეთ, — უზოდან გამოდიოდნენ. გიგას ძალიან სუფთა ზალტო ეცვას.

მამამ ხელი ჩამოართვა მია ნიკასაც და გიგასაც. მია ნიკამ მეც ჩამოართვა ხელი.

— წუღან ძალიან ჭუჭუიანი ზალტო მცვა გიგას, — თქვა მამამ, — რატომ ეცვა ჭუჭუიანი ზალტო?

— მე ჩავაცვი, — მიუგო მია ნიკამ, — ძველი ზალტო ჩავაცვი, სუფთა იყო, მაგრამ მძლე გაუჭუჭუიანდა. ბუნარს ვანგრევდით. ორთქლის ღუშელი გავიყვანეთ და ბუნარი რაღად გვიჩნდოდა, დაზნერიოთ...

— კიდევ იმიტომ, — გაეღიმა მამას. მერე ჰკითხა, — სად მიდიხართ?

— ბაზარში მივდივარო, ხილი უნდა ვიყიდოთ, — უბასხუსა გიგამ.

ისინი ბაზარში წავიდნენ.

— ხომ შედავ, — მითხრა მამამ, — ბიჭს სუფთა წერაში სუთიანი აქვს და სუფთადაც აცვია... კარგი ბიჭია გიგა.

— ამ შეათხედში მეც მივიღებ სუთიანს, უეჭველად მივიღებ!

— აბა, შენ იცი! — თაყუყე ხელი გადამიხვა მამამ. მერე ცას აშხუდა, — ამადამ თოვლი მოვა, რავი ქარი ჩადგა...


კარგია თოვლი დაზნობას არაფერი სჯობია!





ოქტომბრედებო, 1966 წლის 22 აპრილს მთელი ქვეყანა აღნიშნავს დიდი ბელადის მღალდიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ოთხმოცდათხუთმეტ წლისთავს. ამ დიადი თარიღის შესახებდრად, „ლილას“ რედაქცია ყოფილ ნომერში გამოაკვეუნებს მოთხრობებს ძია ლენინზე. თქვენ გაეცნობით მსოფლიოს მუსათა კლასის ბელადის ბავშვობასა და ყრმობას, მის რევოლუციურ წარსულს, როგორ ქმნიდა და როგორ აძლიერებდა იგი ჩვენს დიად ხაშობლოს—ხაბუთა კავშირს.

თქუქუქ



ნოსონ ხოძა

ალამო ხანს ვალოდია, მიტია და ოლია თამაშობდნენ, მაგიდებზე ხუხულებს აგებდნენ.

— აბა, ამას შეხედეთ! — დაიძახა მიტიამ, — ხედავთ, რა სახლი წამოვქიმე! ოთხსართულიანი! შემიძლია ხუთსართულიანიც დავდგა. აი, ახლავე...

მაგრამ ამ დროს ოთანში ძიძა შემოვიდა და მიტიას უთხრა:

- მიტია, წამოდი, გენაცვალე, დაიძინე!
- არ მეძინება, — გაჯიუტდა ბიჭუნა.
- არ გეძინება, მაგრამ შენი ძილის დროა!

— აი, ხუთსართულიან სახლს დავდგამ და მერე წამოვალ.

— რომ მივიშვათ, დილამდე ითამაშებ, დაიბანოს და ლოგინში ჩაწვესო! — დედამ ასე გიბრძანა.

მიტიას თვალეები ცრემლით აევსო.

— სულ ასეა... ყველა ფეხზეა... მარტო მე უნდა დავიძინო...

— იმიტომ, რომ შენ ყველაზე უმცროსი ხარ. უმცროსები სხვებზე ადრე იძინებენ.

— ჰოდა, არ მინდა ყველაზე უმცროსი ვიყო. ვალოდიასთან მათამაშეთ! — სლუკუ-



ნება მიტია და ლოყაზე ცრემლები ჩამოს-
ლიოდა.

ამ დროს ვალოდიამ ხელი მაღლა ასწია
და ხმამაღლა თქვა:

— ბატონებო, სახელ-
განთქმული ინჟინე-
რი მიტია ამერიკაში
მიიწვიეს. ამერიკელებ-
ი სთხოვენ, ასსართუ-
ლიანი სახლი აგვიშე-
ნოსო! სახელგანთქმუ-
ლი ინჟინერი მიტია
ჩვენთან ვეღარ დარჩე-
ბა, რადგან გეზე აგვი-
ანდება. ნახვამდის, მის-
ტერ მიტია! მალე და-
გვიბრუნდით!

როცა ვალოდიამ
სახელგანთქმული ინ-
ჟინერი უწოდა, მიტიას
სახე გაებადრა. ნათ-
ქვამი ძალიან მოეწონა.
ვალოდიამ რა კარგად
მოიგონა ეს ამერიკა!
ახლა მიტიას გული
აღარ დასწყდებოდა,
რომ სხვები ითამაშებ-

დნენ, ის კი— არა, მას ხომ გეზე ეჩქა-
რებოდა, ამერიკაში უნდა წასულიყ-
ყო, სათამაშოდ სადღა ეცალა.

— ღამე შვიდობისა! — თავმო-
წონენ თქვა ბიკმა, — ხვალ დილით
დაებრუნდები ამერიკიდან და ასსარ-
თულიან სახლს თქვენც აგიშენებთ!

თარგმნა ლეილა ერატემ

ნახატი ვ. შარვაშიანი



კანობი ტობონე

ჯანსუღ ჩარაჟინი

დღეობა აქვს მელაკუდას,
უქნარას და ბობოლას.
აბა, განი,
განი, განი,
დათუნია მოგორავს...
ჩონიანმა ყურცქვიტებმა
დააყარეს ქოქოლა.
აბრილდა ფარშეგანგი,
როგორც ჭიაკოკონა.
ცანგალა და გოგონა,
ცანგალა და გოგონა,
— კაი დასლი დაგიდგებათ,
თუ გაგიგოთ ბომბორამ!

ნახატი ზაპარ ჟორჯინიძე



ესაოე

ბაბუ მახარაჟილი

მართლაც სსსცნლოდ
ანრესია კუდი,
არ შორდება ღიას
პაწაწინა კნუტი.
— შიავ,
— შიავ,
— შიავ—
გაიძისის მუდამ.
სულ ყურება უნდა,
სულ თამბი უნდა.
კი არ გაუჯავრდა,
ტკბილად უთხრა ღიამ:
— კაბას ვაუთოჯებ,
შენთვის არ მცადია.

ნახატი ზაპარ ლავითიანი



— არ ვარგა ამისთანა ზამთარი, — კვირიკე დაეცინა რა საბა პაპამ, — თებერვალმაც თუ ასე უთოვლოდ გაიარა, ძალიან მეწყინება.

„ნეტავი პაპას რაღა უნდა, რომ თოვლი მოვიდეს? — გაიფიქრა ვახტანგმა — აბა, აბა, აბა, აბა, აბა...“

მეორე დღით ვახტანგი პაპამ გამოაღვიძა: — აფე, ბიჭო, აფე, სტუმარი გვეწვია, აფე, ეზოში გველოდება.

ვახტანგი მკვირიცხდა წამოხტა, ფანჯარასთან მიიჩინა, გაიხედა და სიხარულის ყიფინა დასცა:

— თოვლი, თოვლი მოსულა!
თბილად ჩაიცვა, ცივას დასტაცა ხედი და პაპას გასძახა:

— რას ელოდები, პაპა, არ წავიდეთ საცივად?

— არა, შვილო, შენ წადი, რაღა დროს ჩემი ცივაობაა.

— აბა, რატომ გერქარებოდა თოვლის მოსვლა? — გაუკვირა ვახტანგს, ეგონა, პაპა ხუმრობდა.

— იმიტომ, რომ უხვი თოვლი დიდი მოსაველის საწინდარია, შვილო, ჯუჯილებს მოუხედა, მიწა უხვად აილუბს ტენს და გვიღვა ველარაფერს დაგვაცლებს!..

ვლადიმერ ასლანაზიზაძე
ნახატი ჯიშაძე ილუსტრირა

საქონლაკი

დიდით ვახტანგი ყველაზე ადრე წამოხტა დღგონიდან, ფანჯარასთან მიიჩინა და გაღმა მოსიშველებულ მთაგორებს გახედა, იქნებ ლამით თოვლი გვესტუმრა.

— თოვლი არ მოსულა, შვილო? — იკითხა საბა პაპამ.

— უპ, კიდევ არ მოსულა! — ამოიჩინა ვახტანგმა და თვალი აიყინა კუთხეში მიდგმული ციგისაკენ გაუქცა.

— ერთი მეციკავა, რა იქნებოდა. აბა, ეს რა ზამთარია!..





როგორ გავჩნდეთ ღარი

მონა იოსელიანი

ნახატები ჯიგელ ლოლასი

იყო ბაჩო და მანო, მაგრამ მთელი ქვეყანა რომ შე-
მოგველოთ, არსად არ იყო ღარი. უთუოდ გული თუ
მოუვიდა, რატომ მე არ უნდა ვიყოთ, და ერთ მშვენიერ
დღეს ამ ქვეყნად დაჩრც განდა.

გაუბარდა ბაჩოს და მანოს, თვითონ დაჩი კი არაფ-
რად აგდებდა: მერე რა მოხდა, თუ გავჩნდი აბა, რთ-
გორ გეგნათ, მე რა, თქვენზე ნაკლები ვიყავი? არა-
ვითარი ხასმელი არ წამაკართ, მხოლოდ რძე მიყვარ-
სო.

— რძე კარგია, ძალიან კარგია რძე, დაჩი!—უთხ-
რა მანომ.

— უშენოდაც ვიცო, — იფიქრა დაჩიმ.

— კი იცი, დაჩი, შენ ყველაფერი იცი! — უთხრა
მანომ.

— არაფერიც არ იცის! — თქვა ბაჩომ — ჯერ არც კი
მოსულა და, უფურე შენ, რა გულზეა ეს თითის ხივრძე!
დაჩის გული მოუვიდა და არტახებიდან ბელეხის
განთავისუფლება სცადა. გული მოუვიდა მანოსაც.

— დაჩი დიდი ბიჭია! — თქვა გოგონამ.

დაჩის ენიაშოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— არაფერი დიდი ბიჭი არაა, სულ ერთი ციდა იქ-
ნება!..

— არაფერიც! — არ აცალა მანომ, — ერთი ციდაც
არის და ხამიც, ამას გარდა, ისეთი-ლონეირია... ეე,
დაჩი ძალიან ლონეირია.

— ლონეირი არა, ის არ გინდა!

დაჩი ძალიან, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ბაჩომ
მაინც თავისი არ დაიშალა:

— არ გამიფონა მე მაგის ღონე.

— არ გაგიფონა შენი რას გაიფონებ, მთელი დღე
სკოლაში ხარ, ღამით კი ისე გიძინავს, ფეხით რომ გათ-
რიონ, ვერ გაიგებ!

— მაგას რა, ღამით არ სძინავს?

— არა, ღამის ღამით სულ არ სძინავს.

— ახალი ამბავი!

— მო, შენთვის ახალი ამბავია, მე კი ღარი დღით
ხაიდუმლოდ მიყვება.

— წუბელიც არ ეძინა?

— არ ეძინა, არც გუშინდამ ეძინა, არც გუშინწინდამ.
გულმოსულ დაჩის ამასობაში დასძინებოდა, მაგრამ

მანომ მშვენივრად იცოდა ის ამბები, რაც ღამით თავს
გადახდა დაჩის. დაჩიმ ხაიდუმლო მხოლოდ მანოს
გაანდო. მანომ კი, რადგან საქმე საქმეზე მიდგა, თქვა:

— როცა სახლში ყველას, სულ ყველას სძინავს,
დაჩი თავისი იშვებს არტახებს, იცვამს და მიღის.

— საინტერესოა, სად მიდის?..

— სად მიდის და... სანადიროდ.

— ყოჩაღ! — ცინის ბაჩო.

— შენ იცინი და დაჩიმ უკეთ ერთ მელას გააძირ
ტყავი, მგელსაც.

— სადა აქვს შენახული, რომ არ უთქვამს?

— მგლის ტყავი რა შესანახია!

— აბა, ვეფხვი დაეჭირა და აკენის ქვეშ გაეგო!

— დაიჭირა, — ამბობს მანო და მკვება:

— დაჩისაც ასე მჭონდა გადაწყვეტილი: დაეჭირა
ვეფხვი და მისი ტყავი აკენის ქვეშ გაეგო, მაგრამ

ვეფხვები ზომ ჩვენს ტყეებში არ ბინადრობენ. ძალიან შორს წახულა, წახულა და თვედნ როგორ გგონიათ, დაუჭერია.

რა აცინებს ამ ბაჩოს, რომ იცინის და იცინის, რატომ ვერ დაიჭერდა ვეფხვს დაჩი? აბა, დაჩი რისხე დაჩი, თუ ვეფხვს ვერ დაიჭერს?

— დაიჭერდა, დაიჭერდა, — ამბობს ბაჩო.

— დაუჭერია, ამოუღევს ილიაში და მოჰყავს. რა იქნება ახლა, ეხეც რომ დაიჭეროს ბაჩომ. თუ დაიჭერა დაიჭერა, ილიაში ამოღება და წამოყვანაც დაიჭეროს.

... ბაჩოს ხეჯერა, რომ მოჰყავს დაჩის ილიაში ამოღებული ვეფხვი, მაგრამ ევეფხვს, პატარა ვეფხვი იქნებოდაო.

— რას მიქვია პატარა ვეფხვი, პატარა ვეფხვი ცოცხა არაა? — დიდი ვეფხვი... ის კი არა და, თვითონ იმ ვეფხვს მუხლია ბოკვერები, მაგრამ დაჩის ხელი არ უხვლია, მოფრებია, გათამაშებია და დიდი, დედა ვეფხვი წამოჰყვანია.

— პატარა ვეფხვებს არ დაიჭერდა დაჩი! — ხეჯერა ბაჩოსაც.

ჩამოყავს ვეფხვი და მოდის დაჩი.

— ხალ მიგყავარო, — უციოხავს ვეფხვს, — ზოთპარკეში ზომ არ უნდა წამოყვანო?

— არაო, — უთქვამს დაჩის. — ზოთპარკეში ვეფხვები ისედაც არიან, ხახლში უნდა წამოყვანო.

— რად გინდობარო? — უციოხავს ვეფხვს.

— ტყავი უნდა გაგაძრო, შენ ძალიან ღამაში და პრილი ტყავი გაქვს, აკენის ქვეშ გასაგებად მინდაო.

შებვიწინა ვეფხვი:

— არ დამლუპო, შვილების პატრონი ვარ, შენც ზომ გყავს დედაო?

— მყავსო, — უთქვამს დაჩის, — აბა, ძუძუს ვინ მაკუმეფხვი!

— ჰოდა, ჩემს შვილებსაც ზომ უნდათ ძუძუ, ვინ აქამოსო, — ატირებულა ვეფხვი.

დაჩის გახსენებია, რომ ძუძუ უნდოდა და ისიც ატირებულა.

ვეფხვს უთქვამს, მე გაქმეფ ძუძუს. ოღონდ გამიშვიო.

— კარგია, — უთქვამს დაჩის, უწოვია ვეფხვის ძუძუ და გაუშვია თავის შვილებთან.

— შენ ჰქენი ამდენი ამბავი? — ეციოხება ბაჩო მძინარე დაჩის.

— ბიუო, ბავშვი არ გაადვიძო! — უფავრდება მანო უფროს ძმას და წუნარად არწევს ნაბოლარა დაჩის.

დაჩის კი ხძინავს და ხძინავს. ზოგჯერ დიმილი გადურბენს ტურბზე, ალბათ მასწინ მელას თუ უნდოდა მოეტყუებინა, მაგრამ მიუხვდა ეშმაკობას, ან ვეფხვის ბოკვერებს თუ ეფრებდა. ზოგჯერ პირიქით, თუ დედა ვეფხვი გაახსენებს, რომ ძუძუ უნდათ მის შვილებს, თვითონაც ატირდება. რა ქნას, დაჩის ზომ ისე არაფერი არ უყვარს, როგორც ძმე...

ჰო, მართლა, გულის მოხვლაც უყვარს...

აი, ასე გაჩნდა დაჩი.





ხეზეხე, ეს წახვეთ ამოჭეთ და დაწვეთ მე
ცოტე სიხვეთ უფროსებს წაერთმოდ ღვესი ათველი

სტროვის წყობის შემდეგ, ასევეთ ის წახვეთ, რომე-
ლე ღვესი წახვეთ გამოხატეს, ბოლოს წახვეთ
თქვენ თვითმ დალავლი თანამშევებთათ.

ამონალიჩა

მამაკლე მამაკლე

გარეთ თოვს, თოვის ფიფქები
პერში დავდურს უფლიან.
თოვის გასკვერთან სარკმლიდან
ბურა და მისი მურია.

თოფი აიღო ბურამ,
მურამ სკვეილა ყურები;
თითქოს ჰკითხაო შეგობარს,—
საითყენ მივემურებით.


— ჰო, ჰო, რა კარგი ღვე არის,
რა სანაღირო ამინდი,
ნეტავ ეს კვალი რისია,
ნეტავ ეს კვალი სად მიღის? —

სახელები მან მალევე შევსება

ბოლოს მიადგენ ღვედურის
შეგნენ და ნადირს ელიან.
ან გამოჩნდება დათუნა,
ან მგელი, ანდა მელია.

უცებ გამოხატა წრეწუნა,
პერში შეხტა ბურია.
აქეთ ბურია ღრიალებს,
ოქით წამუტუნებს მურია.

თავს წამოადგათ კატუნა,
სოცილითა და ბანკალით.
წეღე თავგები ვერა,
ერთი კი არა, ცხრა ცალი.





ნოღარ თარხნიშვილი

მაწანწალა ძაღლმა სახლის საძებრად წასვლა გადაწყვიტა და გზას გაუღდა. გზაზე კურდღელი შემოხვდა.

— შენ საით?—შეფიქობა ძაღლი.

— მომწყინდა მარტოდმარტო ბუჩქებქვეშ ცხოვრება,—უბასუბა კურდღელმა.

— არ გინდა წავიდეთ და სახლი მოვძებნოთ?

— წავიდეთ,—დაეთანხმა კურდღელი,— არასოდეს არ მქონია სახლი.

ცაში წერო მიფრინავდა.

— შენ, გი!—შესაბა კურდღელმა.

წერო ძირს დაეშვა.

— წავიდეთ სახლის საძებრად!—უთხრა ძაღლმა.

— წავიდეთ, — თქვა წერომ,— მხოლოდ თეთრი სახლი მოვძებნოთ.

— რატომ თეთრი?—გაუკვირა კურდღელს.

— თეთრი სახლი ცასავით ნათელი და სუფთაა!—თქვა წერომ.

— კარგია სუფთა სახლში ცხოვრება!—დაეთანხმა ძაღლი.

ძაღლი, კურდღელი და წერო გზას გაუდგნენ. გადასერეს მინდორი, დაუყვნენ მდინარეს, გადაიარეს ტყე.

მღელ ქალაქი გამოჩნდა. ქალაქში უამრავი სახლი იყო, მაგრამ ყველგან აღამიანები ცხოვრობდნენ. ძაღლმა, კურდღელმა და წერომ მთელი დღე ქუჩაში იარეს.

— მოდი, კიბის ქვეშ გვათენოთ,—თქვა საღამოს ძაღლმა,—ხვალ კი ისევ გზას გაუღებთ.

ნახატები შალვა მხალაძისა

კიბის ქვეშ ციოდა და ბნელოდა.

— ცივა,—თქვა კურდღელმა, ახლოს მიუწვა ძაღლს და ძილს მიეცა. წერომ თავი



ფრთაში ჩამალა და ისე დაიძინა. ძაღლს არ ეძინა. მეგობრებს დარაჯობდა და თან კურდღელს ათბობდა.

მეორე დღიას წერომ თქვა:

— წავიდეთ სხვა მხარეს!

— დავიღალე!—ამოიკვნესა კურდღელმა.

— რამ დაგღალა?—გაუკვირა წეროს.

— გრძელი ფეხები გაქვს და. შენთვის აღვილია სიარული, — უმასუხა კურდღელმა.

— სამაგეროდ თეთრი სახლი გვექნება, წავიდეთ! — თქვა ძაღლმა.

ბევრი სიარულის შემდეგ, ერთ გორაკს მიაღწენ. გორაკზე დიდი ფიჭვის გვერდით პატარა თეთრი სახლი იდგა.

— ვაშა, სახლი! — დაიძახა კურდღელმა. კარი ღია იყო. სახლში არაფერცხოვრობდა. წერო უსიტყვოდ განზე გადაა.

— შენ საით? — გაუკვირა ძაღლს.
— სახლი პატარაა, ვერ დავეტყვი, — უბასუხა წერომ.

— ჰო, მართალია, — ჩაიბურტყუნა ძაღლმა. — პატარა სახლი რად გვირდა! — თქვა კურდღელმა. — ყველამ ერთად ვეძებოთ და ერთად ვიცხოვროთ.

დადგა შემოდგომა. სხვა წეროვებმა სამხრეთისაკენ გაფრინდნენ.

— ვერ გავფრინდები, — ფიქრობდა წერო. — მათ ჩემი გულისთვის დაკარგეს სახლი, ახლა ისევ ერთად უნდა ვეძებოთ.

— ცივა, — გაიფიქრა წერომ და ცას შეხედა — ხედავთ, ცის ნაპირები მიწაზე გამოდის! — შუაგული კი სახურავით აწეულა.

— რა კარგია! — წამოიძახა ძაღლმა.
— რა არის კარგი? — წაიბურდღუნა კურდღელმა.

— თუ სახურავი გვაქვს, სახლიც მზად არის, — თქვა ალტაცებულმა წერომ.
ზვედიან ფიჭვები ტრიალით ცვიოდნენ, გახარებული ძაღლი დარბოდა, კუდს იქნევდა, თოვლში კოტრიალებდა და მღეროდა. წერო კი ცალ ფეხზე იდგა და ფრთებს აფართხუნებდა. კურდღელი ოდნავ დაფიქრდა, შემდეგ თავი დაიქინა და ცეკვა დაიწყო.

— აი, როგორი სახლი გვაქვს, — თქვა ძაღლმა.

— დიდზე დიდი, — თუხრა კურდღელმა.
— ეს სახლი სამივემ ერთად ვიპოვეთ, — თქვა წერომ.

— აქ ძალიან კარგად ვცხოვრობთ! — ამბობდნენ ძაღლი, კურდღელი და წერო.



დადიოდნენ და ეძებდნენ, კურდღელი აღარ იღლებოდა.

ერთხელ თეთრი სიფრიფანა ფანტელი დაეცა წეროს ფეხებთან, დაეცა და დადნა.

— რა არის ეს? — გაუკვირა წეროს.

— თოვლის ფიჭვი, — თქვა ძაღლმა.

წერომ ზევით აიხედა. ათასი თეთრი ფანტელი ცვიოდა ციდან. დადგა ზამთარი.





ჯანი როლარი

ნახატი ლიმიზი საკაპოპოლისა

ერთხელ ბიბლიოთეკაში გაზრდილი თაგვი თავის ბიძაშვილებს ესტუმრანისინი სარდაფში ცხოვრობდნენ.

— თქვენ ამ ქვეყნისა არა გავგებებათ რა,—უთხრა თავგმა შშიშარა ნათესავებს,—მგონი კითხვაც კი არ იცით.

— ჰო, შენ, რა თქმა უნდა, ბრძენი ხარ!—ამოიოხრეს მათ.

— შეგიკამიათ ოდესმე კატა?

— ჰო, შენ, რა თქმა უნდა ბრძენი ხარ, ჩვენში კატები თვითონ ჰამენ თავებებს.

— იმიტომ, რომ თქვენ ბრიყვები ხართ. მე ბევრი კატა შემიკამია ისე, რომ დაჩხაულედაც ვერ მოუსწრია.

— როგორი გემო ჰქონდა?

— ჩემის აზრით, ქალაღისა და მელნის გემო დაჰკრავს.

— ძალით თუ შეგიკამიათ?

— რას ამბობ!...—შეიცხადეს ბიძაშვილებმა.

— მე კი სწორედ გუშინ შეგკამე ერთი ქოჯაკი. ხმაც არ ამოუღია, ისე გადავსანსლე.

— როგორი გემო ჰქონდა?

— თითქოს ქალაღისა.

— მარტორქა თუ შეგიკამიათ?

— ჰო, შენ, რა თქმა უნდა, ბრძენი ხარ, ჩვენ კი თვალითაც არ გვინახავს მარტორქა. რისი გემო აქვს?

— რა თქმა უნდა მარტორქისა. თუ შეგიკამიათ სპილო, მონოზანი, პრინცესა, საახალწლო ნაძვისხე?

ამ დროს სკივრის უკნიდან გამოხტა კატა და მუქარით დაიჩხაულა. ეს იყო ნამდვილი კატა, უღელაშა და ბრჭყალებიანი. ყველანი აქეთ-იქით გაიფანტნენ. დარჩა მხოლოდ ჩვენი ბრძენი თაგვი, რომელიც ვაოცებისაგან პატარა ძველივით გაქვავებულიყო. კატამ თათი მოსდო.

— ეს შენა ხარ, კატებს რომ ჰკამ?

— მე, თქვენო უდიდებულესობავ... გთხოვთ გამიგონო... მე ბიბლიოთეკაში ვცხოვრობ...

— მესმის, მესმის, შენ ალბათ წიგნებში დახატულ კატებს ჰკამ.

— დიახ, მხოლოდ სამეცნიერო მიზნით გაიხლებით ხოლმე.

— ძალიან კარგი. ლიტერატურას მეც ვაფასებ, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ცოტა ცხოვრებაც გაგეცნო? გაგეგო მაგალითად, რომ ყველა კატა დახატული არ არის, რომ ყველა მარტორქა როლი შეაქმევს თავს თავებში!

სანდნიეროდ, უცებ მისი ყურადღება ჰერზე დაკიდებულმა ობობამ მიიპყრო. ბიბლიოთეკის თაროებზე გაზრდილმა თავგმა დრო იხეღათა, გადახტა და წიგნებში მიიმაღა. კატა კი ობობას შეეჰქა.

თარგმა დაიღებ ზერბებ

ნეტავ რა სურს,
რას დაეძებს,
ციყვი პაწაწინა,
მთელ დღეს დახტის ხიდან ხეზე,
ღამით ხეზე სძინავს.

დასრიალებს ქარზე ჩქარი,
ძირს ეშვება კუდით,
თქვენც ხომ იცით,—
გული არის
მისი პარამუტი.

ნატყვრა

„ნეტავ მოვიდეს თოვლი
და მთაგორები დაფაროს,
ნეტავ მოვიდეს თოვლი
და ზამთრის მოსვლა გვახაროს“

ასე ოცნებობთ ახლა,
გოგო-ბიჭები ამდენი
და იყურებით მაღლა,
თუ გამოჩნდება ფანტელი.

მოვანატრებიათ თოვა,
ცაშია თქვენი ფიქრები:
თოვლი სულ მაღე მოვა,
თუ თქვენ ჰკვიანად იქნებით.



სახეობანი

აპაქი პრემილანა

ნახატი მიწაში რომინიანილია

ქეთინო ოთახში ფანჯარასთან იჯდა. დილით დედა ჩაის საკრეფად რომ წავიდა, ქეთინოს დაუბარა: შინ იყავი, არსად წახვიდო. ქეთინოც არსად არ აპირებდა წასვლას, წამოსკებულიყო სკამზე და წიგნს კითხულობდა. მოულოდნელად წიგნის ხმაური შემოესმა, გოგონამ მაშინვე შეიანება წიგნს თავი, ადგა და გარეთ გაიხედა. «ვაიმე, დედა ხომ დასველდება, სხვა დროს ყოველთვის მიჰქონდა საწვიმარი, დღეს კი მზიანი დღე იყო და არ წაუღია» — გააფიქრა გონამ.

ქეთინო მეორე ოთახში გავიდა, კარადიდან ლაბადა გამოიღო, ჩაიცვა, მერე დედის საწვიმარს წამოაწყო ხელი და ეზოში გაიქრა. ისევ წვიმდა, მიწაზე პატარა გუბები ჩნდებოდა. ქარი უბერავდა, გზად მიმავალ გოგონას წვიმის წვეთებს სახეში ასხამდა. ქეთინო მაინც დასთან. პლანტაციამ რომ მივიდა, მკრეფაკები ფიცრულში ცეცხლთან ისხდნენ და საუბრობდნენ.

ქეთინოს დედა მიეგება —

— ეს რაა, შვილო, საწვიმარი მომიტანე? — ჰკითხა დედამ.

— კო, დედა, საწვიმარი მოგიტანე.


არნოვი

ნენე კაკისელიძე

არწივმა ლაღე, ლაღეო, ცხვრის ფარას მივებარეო, ვთვალე და ვთვალე ბატკნები, სუყველა გადავთვალეო, რომელიც მეთი მოვიდა, დავეცი, მოვიბარეო.



აბა, თუ მიხვდებით, რომელი სუკათი დახატა კამ, რომელი კადღელღმა და რომელი შირაფხა?



ქვეყნის



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ნახატი ლიმიტარი ხარაშვილისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი წრუწუნა.
წრუწუნა ტბის პირას ცხოვრობდა.

ერთხელ ტბის პირას მეთევზეებმა ისადი-
ლეს და პურის ქერქი დატოვეს. მიირბინა წრუ-
წუნამ, პირი ჩაავლო პურის ქერქს და ტბაში
გადავლო, ზედ შეხტა და გასცურა,—ვითომ და
ნავიყო.

მიცურავს წრუწუნა, სანაპიროზე კი კურდ-
ღელი დაბანცალეებს.

— წრუწუნა, მოკლევითა თათებიანო წრუწუნა,
მეც თან წამიყვანე!—ეძახის კურდღელი. რას
იზამდა, წამიყვანა წრუწუნამ. ორნი მიცურავენ
პურის ქერქით, სანაპიროზე კი მელაკუდა დარ-
ბის და უვირის:

— წრუწუნა, მოკლეთათებიანო წრუწუნა
მეც თან წამიყვანე!

წრუწუნამ ისიც წამიყვანა. ახლა სამნი მიცურა-
ვენ. სანაპიროზე კი დათვი დაბაჯბაჯებს.

— წრუწუნა, მოკლეთათებიანო წრუწუნა,
მეც თან წამიყვანე!

— კი ბატონო, მობრძანდით!

წამიყვანა დათვიც. ახლა უკვე ოთხნი მიცუ-
რავენ ტბაზე.

ბევრი იცურებს, თუ ცოტა, არ ვიცი, ის კი
ვიცი, რომ მელამ თქვა:

— ასე ნუ კი ვსხედვართ, მოდი, ჩვენს შო-
რის ვინც უველაზე ცუდია, ის შევკამოთო.


პირი სტაცეს დათვს და შეახრამუნეს. მერე
სამნი მიცურავენ.

— ბევრი იცურებს, თუ ცოტა, არ ვიცი, ის
კი ვიცი, რომ მელამ თქვა:

— ასე ნუ კი ვსხედვართ, მოდი, ჩვენს შო-
რის, ვინც უველაზე ცუდია, ის შევკამოთო.

აიღეს და კურდღელი შეხანსლეს. ახლა
ორნიღა დარჩნენ: წრუწუნა და მელაკუდა. ისევ
მელაკუდა ალაპარაკდა:

— წრუწუნა, გემის მფლობელი, ახლა ვინ-
ღა შევკამოთ?



შეშინდა წრუწუნა და სასწრაფოდ ნაპირ-
თან მიცურდა.

მიცურდა ნაპირთან და... ბუხ!—შეძვრა სო-
როში. პურის ქერქიც თან შეიყოლა.

ზის წრუწუნა სოროში და ახრამუნებს პუ-
რის ქერქს.

შეკამს პურის ქერქს და ზღაპარიც მაშინ
დამთავრდება.

9250

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი
თარგმანი ანზორ აბულაშვილმა





რამ მოგვიხა დავითარო,
ჰვილა ზინის თავითარო.

ქართულ
ენოლოგიის
სამეცნიერო ცენტრი

ლიტერ საბავშვო ჟურნალიდან



რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, სარედაქციო კომედია: ბ. გიგინეიძე, ქ. გომიზაშვილი, უ. ლომუა,
მ. მადონიშვილი, უ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი ნ. ყულაშინიანი (რედაქტორის მოადგილე), რ. შიშინილი.

საქართველოს ადგილ ცენტრალური კომიტეტისა და უ. ა. ლენინის სახელობის ნორჩ მათწერის ინსტიტუტის
რედაქციური საბჭოს ჟურნალი

უცის მხატვრობა ტელუგინის ზურაბ შორჩიძისა და ტაქტიკატორი ბ. როშინიანი

გამოცემის რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29, მ. 130, სტამბის წყარო: მ. 220, ტარაფა 68 800, უცის მხატვრობის დასაბუჯლო 17/1 1964 წ.
უცის მხატვრობის პოლიგრაფიული კომპანია კიუბუსტო, ლენინის ქ. 14 „სტატი“ და რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29, მ. 130, ტარაფა 68 800.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29, მ. 130, ტარაფა 68 800.

ფასი 20 კაპ.

639/38



ქართული
ბავშვებისთვის

რედაქციაში გვეხტუმრან წლის თბილისელი ბიჭუნა გია კანტურიია. აი, მან სახელდახელოდ, ჩვენს თვალწინ, მაკრატლით ფერადი ქაღალდებისაგან რა გამოკრა.

